

სამოციქულო მოძღვრება წმინდამოწამე პოლიკალეს ხსენების დღეს

23 თებერვალი

როგორც მოვისმინეთ დღევანდელ წაკითხულ სახარებაში, უფალო იესო ქრისტე აღწერს რა თავის მეორედ მოსვლას, გვეუბნევა, რომ სხვა ადამიანისადმი შემოქმედებითი სიყვარული ძალზე მნიშვნელოვანია. სწორედ მოქმედი სიყვარულია ის გასაღები, რომელიც ღვთის სასუფეველის კარს აღებს. ეს უდიდესი სიყვარული შეგვიძლია დავანახოთ თუ შევისწავლოთ წმინდანების ცხოვრებას, ისეთის როგორცაა წმ.პოლიკარპე, რომლის ხსენების დღესაც ჩვენ ვდესასწაულობთ

წმ.პოლიკარპე - ცნობადი სახეა ეკლესიის ისტორიაში. ის დაიბადა ეფესში ქრისტიანულ ოჯახში, იმ დროს როდესაც იქ ჯერ კიდევ ცხოვრობდა მოციქული და მახარობელი იოანე ღვთისმეტყველი. ახალგაზრდა პოლიკარპეს სურდა ახლოს ყოფილიყო მოციქულთან და მისი მოწაფე გახდა. ოცი წლიდან იგი თან დაჰყვებოდა მოციქულს საქადაგებლად ყურადღებით ითვისებდა მის სწავლებას და ცდილობდა აღიარებინა იგი.

წმ.იოანე ღვთისმეტყველის სწავლებამ ღვთისადმი სიყვარულის შესახებ და აგრეთვე სხვა ადამიანისადმი, რომელიც მოციქულის ქადაგების სიყვარულით თემა იყო, წმ.პოლიკარპეზე განსაკუთრებით ძლიერად იმოქმედა. სიყვარულის სული, რომელიც წმ.პოლიკარპემ წმ.მოციქული იოანესაგან მიიღო, საფუძველი გახდა მისი მომავალი საეკლესიო ცხოვრებისა. შემდგომში ის ხელდასხმული იყო სმირნის ეპისკოპოსად წმ.ვუკოლოსის მიერ (რომელიც თავის დროზე ხელდასხმული იყო ეპისკოპოსად თავად იოანე ღვთისმეტყველის მიერ).

წმ.პოლიკარპეს მსახურება სმირნაში სახიფათო და ძნელი იყო. ერეტიკოსები „ველური მგლებივით“ იჭრებოდნენ სმირნის მიწაზე, როგორც აღწერა ისინი წმ. პავლე მოციქულმა (საქმე 20:29). კეთილი მოძღვარი, წმ. პოლიკარპე ზრუნავდა თავის ერთგულ საწყმესოზე, წინ უდგებოდა ერეტიკოსების დამახინჯებულ რწმენას და მართლმადიდებლობას ქადაგებდა, რომელიც წმ. მოციქული იოანესგან ჰქონდა მიღებული. რის შედეგადაც, მრავალი ადამიანი, რომელიც ადრე ერეტიკოსების სწავლების მხარეს გადავიდნენ, ქრისტეს ეკლესიას დაუბრუნდნენ.

ამავ დროულად წმ. პოლიკარპე აგრძელებდა მრევლის დამოძღვრას და მყარად აძლიერებდა ადამიანებს ქრისტეს რწმენაში მიუხედავად წარმართების მუქარისა, მიუხედავად ქრისტიანთა მასობრივი დევნისა. მას უნდოდა გაენათლებინა ქრისტიანები არა მარტო სმირნაში, არამედ სხვა ტერიტორიაზეც. აი ამიტომ,

მოციქულები სადმი მიბაძვიტ იგი თვითონ მოგზაურობდა ქალქებსა და სოფლებში, ანათლებდა ადამიანის სულს წმინდა სანარების სინათლთ ეს მოგზაურობები აგრეთვე ემსახურებოდა მართლმადიდებლების რწმენის გამყარებას, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. იგი წერდა მიმართვებს სხვადასხვა ადგილობრივ ეკლესიებს. სამწუხაროდ შემორჩენილია მხოლოდ წმ. პოლიკარპეს მიმართვა საბერძნეთის ფილიპეს ქრისტიანულ საზოგადოებისადმი.

წმინდანი არა მარტო ამჟღავნებდა სიყვარულს ქრისტიანებისადმი და ზრუნავდა მათ სულიერ მოთხოვნილებებზე, აგრეთვე იგი ყველფერს აკეთებდა, რათა მატერიალურად დახმარებოდა; განსაკუთრებულ მზრუნველობას იმებისადმი იჩენდა. ჯერ კიდევ როცა ის მოძღვარი იყო სმირნაში, მან ორფანოტროპის წოდება მიიღო („ობოლთა მფარველი“) წმ. ვუკოლოსის ეპისკოპოსისაგან. როგორც მოსიყვარულე მამა, სმერნის ეპისკოპოსი წმ. პოლიკარპე ისე ემსახურებოდა ხალხს. იგი აძლერებდა სუსტებს, მწუხარებას ყველს უმსუბუქებდა, ვინც განსაცდელში და მწუხარებაში იყო, კურნავდა სნეულებს და ლტაკებისადმი მოწყალეობას იღებდა. გაჭირვებულები მასთან შვებას გრძნობდნენ და დახმარებას იღებდნენ.

ერთხელ სმირნა საშინელ ხანძრისგან იყო ხსნილი: წმ. პოლიკარპეს ლოცვით საშიშროება აღიკვეთა. ამ ამბიდან ოთხი წლის შემდეგ სმირნაში დიდი გვალვა იყო და დიდი გავლენა იქონია მიწაზე და მცხოვრებლებზეც. რამდენიმე თვის განმავლობაში არ მოსულს წვიმა და მთელი მოსავალი საკითხის წინაშე იყო. წმ. ეპისკოპოსს პოლიკარპემ დიდი სიყვარულთ მიმართა უფალს და დიდხანს ლოცულობდა; და აი - სასწაული აღესრულა! დიდი წვიმის შემდეგ გვალვა მორჩა და მიწა კვლავ ნაყოფიერი გახდა.

წმ. პოლიკარპეს ქრისტესადმი სიყვარული უფრო მკაფიოდ გამოემჟღავნა მის მოწამებრივ სიკვდილში. ქრისტიანთა დევნის დროს იმპერატორ მარკოზ ავრელიუსის მმართველობისას 168 წელს წმინდანი, მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, შეიპყრეს და დაპატიმრეს. ქალქის მმართველ ეცადა აეძულებინა იგი გამდგარიყო ქრისტესგან და უარყო უფალი.

წმ. პოლიკარპეს პასუხი ისტორიას დარჩა: „მე მნ წელთ თავყვანს ვცემდი ჩემს უფალ იესო ქრისტეს და მე არანაირი ზიანი არ მიმიღია; როგორ შემიძლია ეხლ მე უარყო ჩემი მეფე, მხსნელი და გამომსყიდველი?“ მრავალრიცხოვანი წამების შემდეგ მას მიუსაჯეს ცოცხლად დაწვა. საოცარი გზით მას ცეცხლს ალო არ შეეხო, მხოლოდ გარშემოერტყა მას და მაშინ წმინდანი მახვილთ მოკლეს.

წმ. პოლიკარპეს ცხოვრება არის მაგალითი მდიდარი და ქმენითი სიყვარულისა. ამ სიყვარულმა შთააგონა იგი გამხდარიყო სმირის მოსახლეობის სულიერი მამა, მიეცა მათთვის მართლმადიდებლური სწავლება და გაეძლეებინა ისინი რწმენაში. მისი წყალობით მრევლი ერესისაგან იყო დაცული, ხოლო გზა აბნეული ადამიანები ეკლესიას და ჭეშმარიტ რწმენას უბრუნდებოდნენ. მან თავისი სიცოცხლე ხალხის სამსახურს მიუძღვნა, ობლები დახმარებას, დატაკებისა და დაუცველების.

ეს ღირსეული მაგალითია მისაბაძად და თუ ჩვენ ვერ შევძლებთ მივბაძოთ წმ. პოლიკარპეს მის მოწამებრივ სიკვდილში, ეს უდიდესი წმინდანი შეძლებს დაგვენმაროს ჩვენ შემოქმედებით სიყვარულში ქრისტესა და გარშემოყოფადამიანების მიმართ